სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

62278773952624

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240911162

რეგისტრაციის თარიღი

18.07.2024 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა

ტელეფონი: 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას ოცდაოთხი წლის თვრამეტ ივლისს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე ნათია ლაბაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „გრადა“-ს დირექტორი და ითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად ნათია ლაბაძემ (დაბ. 12.10.1994 წელს, მის. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 85ა, პ№ 01017052997) მომმართა.

შევამოწმე ნათია ლაბაძის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „გრადა“-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B23154880**, ამონაწერის მომზადების თარიღი: 30.10.2023, საიდენტიფიკაციო ნომერი: 405181244.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

შპს „გრადა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405181244) წარმოდგენილი დირექტორის ნათია ლაბაძის (დაბ. 12.10.1994 წელს, მის. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 85ა, პ№ 01017052997, შემდგომში - „მიმნდობი პირი“) მიერ უფლებამოსილებას ანიჭებს ვასილ ცომაიას (დაბ. 28.09.1985 წელს, პ№ 01025015668, შემდგომში - „მინდობილი პირი“), მასზედ, რომ იყოს შპს „გრადა“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405181244) წარმომადგენელი ნებისმიერი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი) და მათ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რათა შპს „გრადა“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405181244) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 188-188ა-188ბ-188გ (ს/კ: 01.10.06.011.068; 01.10.06.011.070; 01.10.06.011.071; 01.10.06.011.072) დაკავშირებით წარადგინოს და ჩაიბაროს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ყველა დოკუმენტს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც საჭირო გახდება შპს „გრადა“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405181244) ინტერესების დასაცავად და საქმის საწარმოებლად.

მინდობილობა ძალაშია ორიათას ოცდაექვსი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს „გრადა“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B23154880, ამონაწერის მომზადების თარიღი: 30.10.2023.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 30.00 ლარი თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 5.40 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 40.40 ლარი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/